



წინანდებურად სახიობის შესაძლებლობა წაართვა, დასკვნა მაინც სწორი გამოუვიდა: თუ კარგი აქიმი და დასტაქარი გინდა გახდე, ჯამბაზობას თავი უნდა დააწერო.

ყულაბალადამ ბევრი იშრომა, იღვანა. ზოგი სულთმომბრძავი გადაარჩინა, ზოგიც – ვერა და საიქიომდე გააცილა... ამასობაში დაიღალა, უგუნებობა დასჩემდა. ისევ ალბანელებს შეეცოდათ, ექიმი ავად არ გავიხდესო და გამოუშვეს. მანამდე დაასაჩუქრეს: ცალკე ჯორი აჩუქქს, ცალკე – ჯორებული და გამოისტუქს.

ყულაბალადა მტკვარს აღმა ამოუყვა და თბილისში ამოვიდა. ადრე აქ მას იცნობდნენ, როგორც ჯამბაზს, მაგრამ უკვე აღარ ახსოვდათ; არც ჭირდებოდათ, რადგან ციხისუბნის მოედანი ისედაც სავსე იყო ჯამბაზებით, მასასობით, დალალებით, დასტაქრებით, სახიობით, სიმღერებით, სირაჯებით, ჭაშნაგირებით... თითქოს ბედნიერებას უბედურებისთვის გამოესწრო და ქალაქში პირველი შემოვარდნილიყო. იმდენი მზე იყო, ჩრდილში ერთ მათხოვარსაც ვერ იპოვიდა გამჩჩრეკი თვალი.

მოგზაურის გონებას შემოეძარცვა უგუნებობის ბურუსი – ყულაბალადა დღედაღამ დროსატარებას მიეცა.

ნამდვილი ღვინო რაც არ, თბილისში გაიგო..

გაიგო და აღარ მოეშვა. ღვინომაც გაუგო და არც ის მოეშვა მოგზაურს, ვიდრე ალბანეთში აქიმიბით ნაშოვნი ფული ცეკვა-ცეკვით არ დაახარჯია.

ყულაბალადმ გაყიდა ჯორი, ფეხით აჟყაფა მტკვარს. აირს ბარი, ქერატიერების საკირეში თორი ნახევრადშებრანული მყვარი იაფად იყიდა და ზეგანზე ამოვიდა. აქ მისი ვინაობისა არავინ იცოდა და ყულაბალადას შესაძლებლობა ეძლეოდა, საკუთარ თავს დაბრუნებოდა. იქნებ ეს მართლაც სურდა. აკი რაც ცოტაოდენი ფული ჰქონდა, სულ სხვანირად შეინახა. დაჯდა ამ ანის ძირში და ღამის გასათევად მოემზადა. ის თორი მყვარი მონეტებით დატენა, ფუთაში გამონასკვა, თავეკვეშ ამოიდო და მკვდარივით დაიძინა.

დილით რომ გაიღიძა, ძლიერ ადგა – ისე იყო გახევებული, ეგონა, თიხის ხელფეხი ჰქონდა და ტანშიც ამტკრევდა. დანანებით გადახდა უცხო მხარეს, ამ უცხო სიმწვანეს, რომლის მოხილვა-მოხილვას ვეღარ შეძლებდა. დასკვნასავით აღმოხდა: მშვიდობით ახალგაზრდობა, სალამი მოხუცებულობაც. აიკა რაც გუდანაბადი და უკან გაბრუნდა...

გზად თბილისში შეეარა. ყველასათვის უცნობი, დანანებით შესკერდია ქალაქის ყოფა-ცხოვრებას – მშვიდობა იდგა. მშვიდობა კი თბილის ძალიან უხდებოდა. იქაური ჭრელი ხალხი – სტუმარი თუ მასინძელი – ყველა მღერიდა. ყულაბალადა მიხვდა, რომ თბილისისთვის გრილი იყო, იქ დიღხანს ვერ გაჩერდებოდა. იყიდა გუდასტვირი, შეთხბა სევდიანი ბალადები და დაადგა გზას მთავინი სამხრეთისკენ – ისევ ლეგენდების ქალაქში მოგზაურობა ამჯობინა. გზად

დიდებდა, ლეგენდების გმირი მოეკლა და ახლის დასაბადებლად ორსულობდა... მართალიც იყო – ყულაბალადა თავისი საქმიანობით მხოლოდ იმ ერთ ლეგენდას შეეფერებოდა...

მერე კი, ტყუილი სულ მთლად ძვალრბილში რომ გაუჯდა, ტანიც გაუთამამდა – ხან ხუთ თერის აკლებდა, ხან – უფრო მეტსაც და... დამძიმდა ყულაბალადა, სიარულისას მუცელი ყულაბასავით უჩხრიალებდა. ქალაქის აურზაურინ ქუჩებში კიდევ არაუშავდა; სიჩუმეში კი, თუ დადიოდა, ფეხაკრევით დაიარებოდა; თუ იჯდა ან იწვა, მდუმარედა ჩაფიქრებული, გაუნარევლად იყო მიყუებული სადმე კუთხეში – ოდნავ გაფაჩუქებასაც ერიდებოდა... მაგრამ ეს არა მთავარი.

ყულაბალადა სხვა რამეზე წუხდა. იცოდა, შინდაბრუნებული, ამბებს და ფულს რომ აწინიდა, ისევ ფული გადანიდა, მას კი პირუჟუნადა...

ითიქრა ყულაბალადამ, იფიქრა და მოიციქრა: თუ აქიმობა-დასტაქრობას უსასყიდლოდ გასწევდა, ადრე თუ გვანან, ამბები-ლეგენდები ყულაბას გადაწონიდა.

ასე რომ, ყულაბალადა, მისდა უნებურად ქველმოქმედი გახდა – აღარც იურს იცვლიდა და აღორც სახიობდა. ყველა იცნობდა, მაგრამ ცხადია, ყველას არ უყვარდა. სოფელ-სოფელ არაუშავდა, ქალაქებში კი ამის გამო არაერთხელ უსიამოვნებაც შეემთხვა.

უსიამოვნებასაც გააჩინია: ზოგი კოლეგა მუქარის ნერილებს უგზავნიდა, ზოგიც – საშიში გარეგნობის ცალთვალა მეკობრებს; ქალაქის მეთაურებთან უჩიოდნენ, აქიმობის მაზანდას აუფასურებს; ორ-სამჯერ სასტიკად სცემეს; ორ-სამჯერ კოჭლი ბაყაყები ნაართვეს და პატრონის თვალინი ნიხლებით დაჭყლიერების...

სულ ამაოდ – ყულაბალადა თავის ცხოვრების ბოლო წრეს შეუპოვრად გადიოდა და უკან დახევას არ აპირებდა მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხანშიშესული იყო, აგადიდა და ერთი ქველმოქმედი მეურნალი სნორედ რომ მისწრება იქნებოდა... მისიდან...

ყულაბალადა ბოლო წრეზე მოგზაურისა აგრძელებდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში. უსასყიდლოდ ენეოდა აქიმობა-დასტაქრობას.

ახლი ლეგენდაც მის კვალდაკვალ, ზურგსუკან იბადებოდა; ყულაბალადამ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან სულ წინ მიინვედა; ლეგენდა კი, ახალფეხადგმული ბავშვივით უკან მისდევდა და, ცხადია, ვერ ენეოდა...

მოვლენებს თუ წინ გავუსწრებთ, ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ყველა ძეველი ლეგენდა თანაბათობით დავიწყება მიეცა (ზათ შორის, ისიც – ბოლოსწინა – ოქროსქვირითიან სირიონზის); ბოლო ლეგენდა კი – ქველმოქმედი აქიმისა (და დასტაქრობა, რომელიც ავადმყოფებს ჯერ თორიაქით ათრობდა, მერე ჩირქიან სიმსივნეებს უწრეტდა, ბოლოს გუდასტვირზე უმღეროდა და კოჭლი ბაყაყების ცეკვა-ხტუნვით არ-

თობდა) დღემდე ახსოვთ ანცირელებს, კარსნელებს, ელამელებს, ალპანელებს...

ხნიერმა ყულაბალადამ ბოლო წრე დაასრულა და ძლიერ ჩაღინია პალმირაში. მონეტები რომ ვეღარ მოისაქმა, საბოლოოდ დარნებულია, რომ ფულის შოვნას შეენირა.

ლეგენდებ-ბალადების ჩანაწერები და ოქრო-ვერცხლი ანონა და შეადარა – ისევ ფულმა გადაწონა.

ამის შემდეგ ყულაბალადა ისე მოიცავა, ჯერაც რომ არავინ მოქცეულა – მთელი ცხოვრების მანძილზე ნაბონი იქრო-ვერცხლი გადაყლაპა და მოგზაურების ღმერტებით სთხოვა: ბოლო სურვილი ამისრულე. რადგან ვერ დავიხვენე, ისევ თიხად მაქციერო.

აკანკალებული ხელით ანდერძი დან-



ბაყაყებს იჭერდა, კოჭლებს ამოირჩევდა და იტოვებდა, დანარჩენებს კი – უშვებდა...

ფრიგიაში მას, როგორც ვაჭარს იცნობდნენ, ამან კი გუდასტვირი გამართა, მსმენელის გასართობად აბგიდან კოჭლი ბაყაყები ამოახტუნა და დაამლერა:

მეფეს დიდი თავი ჰქონდა.

მეფისანცალას – ორჯერ მეტი.

მეფეს თავი რომ მოჰკონდა,

მეფისანცალას ძლიერ გაჰქონდა...

დადიოდა თავისი ლეგენდების ქალაქებში. თითქოს გაოცებული ისმენდა მასზე შეთხულ აბგებს. უკვე აღარც ისე ჯიგრინად ემღერებოდა; კოჭლი ბაყაყებიც ხან ყავდა და ხან – არა; მსმენელიც ხან ჰყავდა და ხან – არა, მაგრამ ეს არა მთავარი.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა.

უსიამოვნებასაც გააჩინია: ზოგი

კოლეგა მუქარის ნერილებს უგზავნიდა, ზოგიც – საშიში გარეგნობის ცალთვალა მეკობრებს; ქალაქის მეთაურებთან უჩიოდნენ, აქიმის მაზანდას აუფასურებს; ორ-სამჯერ სასტიკად სცემეს; ორ-სამჯერ კოჭლი ბაყაყები ხანში მისიდან ვინებოდა... მაღალი ლეგენდების გადასტარებას და დაამლერა დასტაქრობას.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა და დაამლერა დასტაქრობას და დაამლერა დასტაქრობას.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა და დაამლერა დასტაქრობას და დაამლერა დასტაქრობას.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა და დაამლერა დასტაქრობას და დაამლერა დასტაქრობას.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა და დაამლერა დასტაქრობას და დაამლერა დასტაქრობას.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა და დაამლერა დასტაქრობას და დაამლერა დასტაქრობას.

მეფეს დიდი თავი თვალის შეემთხვა და დაამლ

კატო ჯავახიშვილი

მე და ადამიანი

ერთხელ ადამიანი ვიყავი. შევიუდებდი ორ ფეხს ყავარჯენებივით, გადაციცვამდი ბებაიჩემის დამოკლებულ კაბას, გავახელდი ირ ტბაჩარაგუბებულ თვალს და ასფალტმოცმული ტერფებით ამაყად მივაბიჯებდი. წელამდე თმა მეყარა და წელამდე მინაში ვიდექი. წასვლამდე დრო მქონდა და მოსვლამდე ვრჩებოდი. დუმილამდე ვხროტინებდი და ხმაურში ვცოცხლდებოდი. რა უნდოდა გაზაფხულს, რას მღეროდა, როცა ზამთარი მოკლდებოდა (რა ვიცი), ვის ეძებდა, ეს როცა, ქალაქებს და სოფლებს ზღაპარი ამუნჯებდა (არც ეს), რა უნდოდათ, მათ, ვინაც თავისივე ხელით გათხარეს მეორის აკლდამა (ვინ იცის) ან მას, ვინც მშველელივით უსინჯავს პირველს მაჯას (ესეც) გავაფართოვებდი თვალის გუგებს და ჭიდან წყალი ამომქონდა. შევავიწროვებდი თვალის გუგებს და წყალი შრებოდა. მივდიოდი და ადამიანებს ვკლავდი. მივდიოდი და ადამიანებს ვაცოცხლებდი. რა ვიცი, რანარი ადამიანი ვიყავი. უბრალიდ ადამიანი ვიყავი და მორჩა. დადიოდნენ საკუთარფეხამოცმული ადამიანები და ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. დადიოდნენ საკუთარგულამოცმული ადამიანები და „სხვები“ ეკარგებოდათ. დადიოდნენ საკუთარწარმატებამოცმული ადამიანები და ბრმავდებოდნენ. ვიდექი და ვაკლდებოდი საკუთარ თავსაც და მათაც.

შემეშინდა. ავდექი და საკუთარი თავი მოვიგონე.

1. მერე ერთხელ, როცა მეტისმეტად ლამაზი ვიყავი და უზარმაზარ ვიტრაჟებში საკუთარ ანარეკლს კმაყოფილი, ოდნავ გვერდზე გაქცეული მზერით ვაკვირდებოდი, როცა ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ სიკეთე მხოლოდ სიკეთისთვის კეთდებოდა და ერთმანეთის გზაზე მოხვედრილი ადამიანები საკუთარი თავის ერთმანეთში გაცემას გულისხმობდნენ, რომ გული — ნიშანავდა სიყვარულს, ზურგი — სიშორეს, ხელი — თანაგრძნობას და ცრემლები — ტკივილს, მაშინ, როცა მთელი ამხელა გაზაფხული ერთ უბრალო გამოხედვაში მეტეოდა: ერთმა კაცმა მითხა: „ადამიანები იყიდებიან. დიდზე თუ არა, ძალის დიდ ფულზე იყიდებიან“. და მე ვითიქრე, ეს ყველაფერი ერთი დიდი, დიდი აფიორა იყო.

ახლა, როცა უკვე ვიცი, არ არსებობენ კეთილი და ბოროტი ადამიანები, არ არსებობენ სუსტი და ძლიერი ადამიანები, და რომ ეს უბრალოდ ცხოვრებაა, სადაც საკუთარ თავს ყოველდღიურად ვკარგავთ და ვიძენთ, სადაც ვერაფრით ვაიგებ, ვის რამდენი აქვს დასაკარგი და მოსაპოვებელი, სადაც ადამიანები იყიდებიან ფულზე, ძალაუფლებაზე, წარმატებაზე, სიყვარულზე, უსაყვარულობაზე, შიშზე, სადაც სიკეთე ხშრად ვალის უკან დაბრუნებაა და ერთმანეთში მოხვედრილი ადამიანები შემთხვევითობას გულისხმობენ, სადაც ხშირად გული ნიშანავს საათს, ზურგი — დროს, ხელი — კონტრაქტს და ცრემლები — მოვალეობას, სადაც ბაგრები იყიდებიან საჩუქრებზე, და დიდები უსაჩუქრო დღეებზე, სახემბრეცილი ვდგავარ და დიდ დახლზე საკუთარ ხორცს ვყიდი: ნამდგლი ხორცია, ადამიანის ხორცი, იყიდეთ, რა, ცოტას ჩამოგიჭრით...

არ გაიგეს. ავდექი და საკუთარი თავი ვიყიდე.

2. ვკითხე:

რა მოხდება მერე? როცა ადამიანები საკუთარ თავს სხვებში ამოწურავენ და და როცა საკუთარ თავსაც ამოწურავენ და როცა უცებ გახსნილი კარიდან შემოსული სინათლე დააბრმავებთ და როცა თვალები აღარ დასჭირდებათ და როცა ხელებიც აღარ დასჭირდებათ, და როცა სიტყვებიც აღარ დასჭირდებათ, რადგან ჯოჯოხეთური მარტობის დღესასწაულში საკუთარ თავებს ათასჯერ უდალატებენ და იპოვიან, ათასჯერ აპატიებენ და დაკარგავენ და ერთხელ მიხედვიან, რომ ეს სხვა ნასვლაა, საკუთარი თავიდან ნასვლა და რომ ერთხელ, უნდა შეძლო და საკუთარ თავს გაემიჯნო ერთხელ უნდა მიატოვო მეგობრული სადამოები, წლობით მონატერული ადამიანები, სახლის კარი გადარაზო, სიჩუმის კარი გადასხაზო.

და უსიტყვობა ისნავლო, როგორლაც ხომ უნდა გადარჩე, თქვა „არა!“.

შეიკეო კარი და დარჩე. რომ მერე, როცა არაფერი მოხდება და სიცარიელით გადაგსებული საკუთარი თავით პირისპირ დარჩები სისუსტეებთან, რომლებსაც წლებია ვითომ უმკლავდები და ამ დროს ისინი გიმკლავდებან და უცებ სხვა ადამიანი აღმოჩენილი საკუთარი თავი სადაც მიწის ქვეშიდან დაგდინახებს და შემც, ადგები და გაჰყვები, რადგან თვალები აღარ დაგჭირდება, ხელებიც აღარ დასჭირდება, სიტყვებიც აღარ დაგჭირდება, რა მოხდება, მერე?

ვერ მიპასუხეს. ავდექი და საკუთარი თავი გავეცი.

3.

ერთხელაც, სიკეთე მოვიგონე და ადამიანი დავივალე. ერთხელ, სიკეთე მოვიგონე და ადამიანი ვალში ჩავაგდე. ისეთი ადამიანი ჩავაგდე ვალში, ვინც სიკეთეს არ იმსახურებდა. ადამიანი ვიყიდე და სამუდამო კეთილმოვალედ გავიხადე. დადიოდა ადამიანი და მმადლობდა. დადიოდა ადამიანი და მწყევლიდა. დავდიოდი მე და იმ ადამიანის ვალს დავათრევდი. დავდიოდი მე და ჩემი კომშისფერი სიკეთე თან დამქონდა. დავდიოდით მე და ის ადამიანი და ორივეს ერთმანეთის ვალი გვქონდა: მას ჩემი სიკეთე ევალა. მე — სიკეთის უენოლობა.

ერთხელ, ადამიანი ჩემმა გაკეთებულმა სიკეთემ დალალა და თვალები ამოითხარა. დადიოდა ადამიანი და კედელ-კედელ მეტებდა. დადიოდა ადამიანი და კედელ-კედელ გამირბოდა. დადიოდა ადამიანი და გასასტუმრებულ ვალს სხვა ადამიანებში ეძებდა. დავდიოდი მე და ვილლებოდა. დავდიოდი მე და ვერ ვივინებდი. დავდიოდი მე და სხვა ადამიანებს ვივალებდი. მივხვდი:

ჩემი მეგობრის მეგობარი რატომ დადის თავდახრილი.

იცის, ადამიანი ყველაზე დიდი უძლურებაა და ეშინია.

დგას და ეშინია.

დადის და ეშინია.

სძინავს და ეშინია.

მივხვდი:

რატომ გარბიან ადამიანები საკუთარი უძლურებიდან. იციან, ხანდაან სიკეთე ყველაზე დიდი ბოროტებაა და ეშინიათ. გულმოწყვლებისთვის გაცემული საკუთარი თავებს ეშინიათ და სხვის დაუძლურებულ სიკეთეში პოულობენ თავშესაფარს.

ერთხელ, ცალთვალა კაცმა მომძებნა და ვალი დავუბრუნე.

ვერაფერი დაინახეს.

ავდექი და საკუთარი თავი მოვკალი.

4.

მოდი, ადამიანობანა ვითამაშოთ. ოლონდ მე მკვდარი ვიქენები და შენ ცოცხალი. ოლონდ სულ მე დავიხუჭები და შენ დაიმალე.

მერე მე ვიტყვი — ვიხილები და მოვდივარ-მეტები და ახლოს რო მოვალ,

შენ დაიყვირე — „ცხელა, ცხელა!“

მე მეგონება, რომ მატყუებ და შენც გეგონება, რომ მოვტყუედი და

მე და შენ ორივეს გვეგონება, რო ეს უბრალოდ თამაშია და

ამ დროს სულ არ გვეგონება ასე და ვიხილებით.

ეს სხვა თამაშია.

და მე ყოველთვის იმ ოთახში ვარ, რომელსაც გასასვლელი არ აქვს.

მას ცვილის გამოქვაბული ჰქვია.

თუ შუქს ავანთებ, ჩემი სხეულის ჩრდილის მიხედვით შეგიძლია დრო გაზომო.

თუ შუქს არ ავანთებ, თვალები ითახს კუთხებში შუქურებით უნდა დაამაგრო და დრო გაიღო.

თუ ამ დროს კარი გაიღო, იტყვი: — დრო მოვიდა.

თუ ამ დროს იატეკი აჭრიალდა, იტყვი: — ნერევა.

თუ ამ დროს ბათები ჩამოცვიდა, იტყვი: — გრერდებით.

თუ გარეთ მეხი ჩამოვარდა, მე კედელს ავეყუდები და ვიტყვა: — არაფერია,

ეს უბრალოდ გაზაფხულია,

ანუ — რდვევა სულ არ ნიშანავს ნასვლას.

ანუ ცეცხლი სულ არ ნიშანავს დარჩენას.

შემთხვევა სულ არ ნიშანავს დასასრულს.

ის ნიშანავს ადამიანს.

ნიშანავს დროს.

ნიშანები — ნათითურებს ცვილის სხეულზე.

და როცა მე ვიღუპბი, შენ არასდროს დაიმალო,

— რომ არ დავბრძოვდე.

() რაღა თქმა უნდა, სულ არ ნიშანავ

ძსენონი

სონეტების გვირგვინი

1

ცნობაშ დამცეცხლა, სალოცავო, რომ ცუდად ხარ და
ქსენონს მიგვარეს სასწრაფოთ, იქ გაგამნესეს.
რომ დაგინახო, ვიბობლები რკინის ამზე ზე —
ვერ მოეხვევა ვაზი ასე შორიდან ხარდან.

ტორეადორი კი არა ვარ, მებრძოლი ხართან,
მშიერ ბელურებს ცუყრი ჩემი ტაბლის ნამცეცებს.
ბაქანი მაღლა მიმაქანებს, თვალებს ვაცეცებ
და სადაც არის, ქსენონის ნინ მოვილებ ზღართან.

ჩაფეხუტიანი კაცი წყრება: ამნე-ონეკანი
ვის ჰგონია, რომ დავაყენეთ აქ სამაგისოდ?!
ვეშები, ბოლმის ხახორხლების ყელში მკონკავი.

მესმის დაცინვა: ხშირად კარგავ ალპათ ალვირსო.
მორფის სუნი დგას პალატასთან. ღმერთო, მომკალი,
დასტაქრებს არ სურთ, შენი ნახვა წუთით მაღირსონ.

2

დასტაქრებს არ სურთ, შენი ნახვა წუთით მაღირსონ.
ავადმყოფობის ისტორია იქმნება შენი.
ჩაინერება სისხლის ჯგუფი, სქესი და გენი,
გაჩნდება კითხვაც: თუ აყოლებს ყავას ნაყინსო.

ჯემალ ინჯია

კონსილიუმი! ახსენებენ კოხს თუ პარკინსონს,
ერთი ექიმი ხმას იმაღლებს კილოში წყენით.
ამ ყოველივეს მოყურადე თითქოსდა დენით
დაგმალე და ნეტაც როგორ უნდა ამკნიონ.

თუ შემრჩენია სალი განსჯის უნარი კიდევ,
ჩემს თავს არ ვრჩივი, დამერნმუნე, სულო ფაქიზო.
თავი გერმის თუ ბურბუშელის ბალიშზე გიდევს?

მაიმედებენ, ბევრ სისხლს უკვე აღარ დაღვრისო.
ისეთი ნამყო არ მსურს, თუნდაც დიდებას მგვრიდეს,
ერთიმეორით უსაშველოდ რომ არ ალვივსოთ.

3 ერთიმეორით უსაშველოდ რომ არ ალვივსოთ,
ჩანს, ჩემი ნილი დედამინა ამისთვის გაჩნდა.
დარდის ნაოჭი შუბლზე შენც ხომ ამისთვის გაჩნდა —
არ დადგა დრო ჩვენ შორის საზღვრის გადალახვისო.

ნუთუ იმისთვის ვეფიცხები ვნების სახმილს, რომ
ბედმა გაგიყოს შენ ცხედარი სალმობის ქაჯთან,
სულით ნატეხო, კაცხთან ნაპოვნ ქვის ხანის კაჟთა
და ჩემი ქოხის შეუმდგარო დიასახლისო.

ოფლმა დაგასხა, ისეთი მაქვს ახლა შეგრძნება.
მოწყალების და შენს სანოლთან ირჯება მარდად.
ავადმყოფ დელონს თუ უშველეს ვაჟას ლექსებმა —

არაფერი მაქვს კარგი ჯერ ამ თარგმანის გარდა
და შემოგანვედი კამოენის ქართულ ეგზემპლარს.
თეატრალური დაშვებულა ჩვენ შორის ფარდა.

4 თეატრალური დაშვებულა ჩვენ შორის ფარდა —
სისხლის ლაქებით დანინეკლული შავი ხავერდი.
ეს რომ არ იყოს შენი სისხლი, გავიხარებდი,
ჯერჯერობით კი შენი სენი დამყვება დარდად.

შენ რომ გზრდიდა, მეც იმ ცაცხვების სურნელმა მზარდა
და ერთნაირად გამაყობდით ქართლის მხარეთი.
იგივედებოდა ჩვენთვის მთელი საზღვარგარეთი
ჰიუგოს წიგნში კვაზიმოდოს ჩამოკრულ ზართან.

ხელოვნურ სუნთქვას მიაერთეს შენი სასულე.
ექიმი შენი ხილვის ნებას კვლავ არგის დართავს.
ვიგონებ შენთან ბოლო ბაასს ეგზომ სასურველს —
მიუძღვენიო რეკვიემი ილია მართალს.
რადგან ვნანობ, რომ შენი თხოვნა ვერ დაგასრულე,
ატუზული ვარ, როგორც მწირი, აღსავლის კართან.

VIII



თვალწინ იმხელა სამყაროა, ვდგავართ და ვდუმეართ.
ვდუმვართ და ვმარცვლავთ.
რაღა თქმა უნდა, ყველაფერი იკარგება, —
რასაც ჩვენ ვტოვებთ.
რაღა თქმა უნდა, ყველაფერი წარსულია —
რაც უკვე გაგვცდა.

ერთხელ, ადამიანი ვიყავი.
რა ვიცი, როგორი ადამიანი ვიყავი.
უბრალოდ, ადამიანი ვიყავი და მორჩა.

რა უნდოდა გაზაფხულს, რას მდეროდა, როცა ზამთარი მოკლდებოდა (რა ვიცი),
ვის ეძებდა, ეს როცა, ქალაქებს და სოფლებს ზღაპარი ამუნჯებდა (არც ეს),
რა უნდოდათ, მათ, ვინაც თავისივე გათხარეს მეორის აკლდამა (ვინ იცის)
ან მას, ვინც მშველელივით უსინჯავს მეორეს მაჯას (ესეც).
— გავმალე ხელები. აქ წვიმაა. მოაჯირებზე
სხედან ჩიტები.

ჩვენს ცაზე კი, გადმომფრენი უჩვენობა —
ღრუბელს აკავებს.
ვიღაცები...

ეხლა ადამიანები მიყვარს.
მანამ...

რა უნდოდა გაზაფხულს, რას მდეროდა, როცა ზამთარი მოკლდებოდა (რა ვიცი),
ვის ეძებდა, ეს როცა, ქალაქებს და სოფლებს ზღაპარი ამუნჯებდა (არც ეს).
რა უნდოდათ, მათ, ვინაც თავისივე ხელებით მოძებნეს აკლდამა (ვინ იცის)
ან მას, ვინც მოგონილ ნაპირზე შიშველი იჯდა (ესეც).
— გავმალე ხელები. აქ წვიმაა. მოაჯირებზე

სხედან ჩიტები.
ჩვენს ცაზე კი, გადმომფრენი უჩვენობა —
ღრუბელს აკავებს.

რომ მერე ჩემს გვერდით, მოგონილ ნაპირზე შიშველი ჩამოჯდე.

რა უნდა გაზაფხულს, რას მდერის, ეს როცა ზამთარი მოკლდება,
ვის ეძებს, ეს როცა, ქალაქებს და სოფლებს ზღაპარი ამუნჯებს.
რად გვიდა, ცოცხალმა შენივე ხელებით მოძებნე აკლდამა,
რომ მერე ჩემს გვერდით, მოგონილ ნაპირზე შიშველი ჩამოჯდე.
— გავმალე ხელები. აქ წვიმაა. მოაჯირებზე
სხედან ჩიტები.

ჩვენს ცაზე კი, გადმომფრენი უჩვენობა —
ღრუბელს აკავებს.
იქ, სადაც არაფერს, არაფერს ელიან, და გზების გადაღმა
მტვერშია ქალაქი — დღეების, თვეების, და წლების ნაცარი.
რა უნდა გაზაფხულს?.. რად მოდის, ან ეს ტყე ჩვენს თავზე რილასთვის მაღლდება,

სველ კაბას ტანიდან კანივით აიძრობს ცა-გამონაცვალი.
დამალე თვალები. აქ შენს სიზმებს, მოაცილებენ
დევის ქალები.
და სიყვარული რომ დაგვაბრალონ,
სავსემთვარობას უჟაერო ფანჯრებს აღებენ.
ქუსს.

რომ ჩვენ გვეგონოს —
რაღა თქმა უნდა, სულ არ ნიშნავს, ხელებს ვიშვერდეთ —
ველოდოთ ვინმეს.
თვალი დავცალოთ. კოკას პირი გადავუტეხოთ.

გვეგონოს — დაეგრჩით.
რაღა თქმა უნდა, სულ არ ნიშნავს, შაქარს გვიპნევდნენ —
— გვეგონის მოვა.
ენა დავიტკბორ. პირში წყალი ჩავიგუბოთ.

უბრალოდ ვაჩვევთ.
რაღა თქმა უნდა, კარგად ვიცით, ხელებს თუ ვითბოთ —
ინყება თოვეა.

თვალწინ იმხელა სამყაროა, ვდგავართ და ვდუმვართ.

ვდუმვართ და ვმარცვლავთ.

რაღა თქმა უნდა ყველაფერი იკარგება, —

რასაც ჩეენ ვტოვებთ.

რაღა თქმა უნდა, ყველაფერი წარსულია —

რაც უკვე გაგვცდა.

ტკაცუნობს სიჩუმე, როგორც ნაზამთრალი ფიჩხი და სხეული
ფიჭისგან დაცლილი სკა არის ახლა და დავითვლი რთახებს.
ცარილ რთახებს, იმ სახლის, რომელსაც ვუნოდეთ სამოთხე
ან იმ ჯოჯოხეთს, რომელსაც ხვალიდან ირწვევა მოვნახავთ.
დაგმალოთ გზები. აქ ქარის. და გზად ალმასებს
აგროვებს ვიღაც.

ჩვენს ცაზე კი, გაზაფხული კალენდრიდან

ფურცელს ამოხევს.

ქუსს.

ქუსს.

შემომხედე,

მე ახლა ცყვავილობ, მე ახლა მკლავებზე კვირტები მასკდება,
მე ახლა სიკვდილი, ამ მწვანე ფოთლების ჩეროში ვარწიე,
მე ახლა გავდები, შენ ახლა მიკვდები, მე ახლა ნაკლებად,
ნაკლებად მგონია, ნათქვაში სიტყვების რომ შევძლო განირვა.

დახუჭე თვალი. აქ წვიმაა.

და გადმომფრენი უჩვენობა

ცაზე მოკლება.

რაღა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, ხელებს ვიშვერდეთ

— ველოდოთ ვინმეს...

პოეტი და მისი ალტერ-ეგო!

როცა პოეტი იკლავს თავს, მუდამ პა-
სუხეგაუცემელი რჩება ერთი კითხვა:
მაინც, რომელია მკვლელი! პოეტი? თუ
მისი ალტერ-ეგო!

შორენა ბეგაშვილი!

შორენა – შორების დაულალავი მონაწ-
ილე, ზოგჯერ მთავარი ფიგურაც მისი!
ამიტომ ჩემი აზრით ურიგო არ იქნება, მის
სახელს – შორენას – დაემატოს ერთი ასო
აი, ასე:

შოუ-რენი!

შორენა ბეგაშვილი!

წესით **შოურენა** კმაყოფილიც უნდა
დარჩეს ამ ერთი ასოს დამატებით!

შემოვდივარ ნინადადებით: ბიზნესმე-
ნებს, რომელიც ფულს სექსის წყალობით
შოულობენ, ესე იგი, შოულობენ ფულს
ბოზების წყალობით, ენოდოთ **ბოზნესმე-
ნები!**

არ უნდა იყოს ცუდი სიტყვა. კიდევ
ერთხელ გადავლეთ თვალი: **ბოზნესმე-
ნი!**

მისია ათავსებია. მთავარი – **მესისა**
მისიაა!

მე ის ვიცი, რომ **ყველაფერი ვიცი!**

ნათევამი ეხება ერთ კონკრეტულ თე-
მას – **ჰეზიას!** თუმცა ისეთივე წარმატე-
ბით შეიძლებოდა თქმულიყო პირიქი-
თაც...

მთავრობამ ქართულ მწერლობას ბი-
უკეტიდან გამოუყო... ენა!

არსებობს თავის მოკვლის კომ-
ფორტული საშუალებები. ყველაზე კარ-
გი ამათგან – სიყვარულია!

დადის ხმები, რომ ცნობილი ქალბატო-
ნი სასურველი გარეგნობის მამაკაცებზე
სისტემატურად ახდენს ფიზიკურ ქვეწ-
ლას!

კარგი პოეტი ისაა, რომელიც წერს
კარგ და ცუდ ლექსებს.

არ არსებობს კარგი პოეტი, რომელიც
წერს მხოლოდ კარგ ლექსებს. და თუ არ-
სებობს, მაშინ ის არის ცუდი პოეტი!

ამას პასკვილანტს ვერაფრით გააგე-
ბინებ, ამის მთქმელი გირია, გეტყვის!

გირი ისაა, ვინც მხოლოდ კარგ
ლექსებს წერს!

რუსთაველის ტარიელს ქაჯები უკვირ-
და?

დიდი ვარ თუ პატარა ვარ, მეც
რუსთაველის ტარიელი ვარ, და არც მე
მიკვირს ქაჯები – ჩემი საცოდავი
პასკვილანტები!

ერთხელ, გაერიტიებულმა, თავი ასე
უნდა ვიმართოთ: მერა შუაში ვარ, ის ყვე-
ლაფერი, რაც თქვენ არ მოგწონებიათ,
ჩემი ალტერ ეგოსას-მეტქ!

ვნახავ, რა გამოვა აქედან!

ჩენ არ ვიცი, რამდენი სისხლია
დაღვრილი კაცობრიობის მთელი ის-
ტორის მანძილზე! ჩენ ის ვიცით მარტო
– ქაჯებს ამ ხნის მანძილზე სისხლი მეტი
აქვთ დაღვრილი!

ღიმილი არაა საჭირო!

მე არ ვიცი კოლოიდური ქიმია, მაგრამ
კოლოიდური ქიმია რომ არ ვიცი, ეს ქე
ვიცი!

დღისაშვილმა არ იცის პოეზია, მაგრამ
პოეზია რომ არ იცის, არც ეს იცის. ესაა
მისი უბრძოებება, და არა ის, რომ პოეზია
არ იცის!

ტარიელ ჭანტურია



30 პილები

ლაშა ჩხარტიშვილი:

ან ყველაზერი, ან არაზერი!

„ჩვენი მცირლობა“, 3 (185), 8. II. 2013.

ლავრენტი ბერია იოლად ახერხებდა
მწერლების გადაბირებასო! პარდონ –
გადაბერიებასო!

გადაბერიებული მწერლების გვარე-
ბიც ჩამომითვალა. მე იმ გვარებს აღარ
ჩამოვნერ, მით უმეტეს, რომ ის გვარებიც,
და იმ გვარების გადაბერიების ამბავიც
თქვენ ჩემზე არანაკლებ იცით!

ათაულო სეორდი!

ინტერესით გადავხედავ ხოლმე
გაზეთში რუბრიკას: „10 ყველაზე პა-
ტიოსანი კაცი საქართველოში“. ჩავი პა-
ტიოსანში ქალებაც ასახელებენ, სათაუ-
რად იქნებ ჯობდეს „10 ყველაზე პა-
ტიოსანი ადამიანი საქართველოში“, თუმ-
ცა იმას, რასაც ვწერ, ამის გასასწორე-
ბლად არ ვწერ!

რუბრიკამ იდეა გამიჩინა, დავაარსო
რუბრიკა „10 ყველაზე უნამუსო ადა-
მიანი საქართველოში“! ამ იდეაზე ფიქრში ვარ
და ამ დროს ხელში ჩამივარდა გაზეთის
ბოლო, 9 სექტემბრის ნომერი. როცა
უფრო საინტერესო მასალების გაცნობას
გაზეთში რუბრიკას: „10 ყველაზე უნამუსო ადა-
მიანი საქართველოში“! ამ იდეაზე ფიქრში ვარ
და ამ დროს ხელში ჩამივარდა გაზეთის
ბოლო, 9 სექტემბრის ნომერი. როცა
უფრო საინტერესო მასალების გაცნობას
მოვრჩი, „10 პატიოსანი კაცი
საქართველოში“-ც გადავათვალიერე და,
მართალი გითხოვთ, გაოცემისგან გავშ-
ებდი: „10 ყველაზე პატიოსანი ადამიანის“
სიაში დავინახე იმ ადამიანის გვარი, ვის
შეტანასაც მე „10 ყველაზე უნამუსო ად-
ამიანის“ სიაში ერთ-ერთს პირველს
ვუპირებ შეტანას!

კარგია, არა?

(ჯერ ერთი, „10 ყველაზე პატიოსანი
კაცის“ სიას რომ ადგენს, ის კაცი, სულ
ცოტა, 1 000 პატიოსანი ადამიანის სიაში
არ უნდა მოაზრებოდეს?).

რას გავს ეს ყველაფერი! ნუთუ მართ-
ლა გლახა „ჩუღულებით“ გაექცა ქვეყანას
თვალი, ნუთუ სულ გავგიშდით და გადა-
ვირიეთ!

გაზეთის გამტყუნება, ცხადია, არ შეი-
ძლება – მან ქვეყნისა და მისი მოქალაქეე-
ბის ნამდვილი სურათი უნდა გვაჩვენოს და
ამ გზითა და სამუშაოებითაც უნდა იძრძო-
ლოს მისი სრულქმნისა და აღორძინები-
ოს მისი სრულქმნისა და აღორძინები-
ოს ითმინოს ეს ყველაფერი! განსაკუთრებით
მაინც – უნამუსო ადამიანების გაპირე-
ბა!

(ბარემ იმასაც ვიტყვი ათეულის
შემკრებზე: ერთმა, როგორც ჩანს, ნიგი
უნდა დაბეჭდოს მისი, მეორემ – თარგ-
მანებიდან ნერილები, მესამე... და ასე შემ-
დეგ...).

მე ხელი ჩავიქნი ჩემი იდეის განხორ-
ციელებაზე, მაგრამ კარგი იქნება, თუ გა-
ბედავს პრინციპში ყველაზე გაბედული
გაზეთი და „10 ყველაზე უნამუსო ადამი-
ანის“ ბეჭდვასაც დაინტებას. თუ ეს მოხდა,
ჩემს მიერ ნახსენები უნამუსო ადამიანის
გვარს რედაქციას უსათუოდ გავუშებელ!

ოვრება ერთი გაბმული ტანჯვაა, „ოხ ოხ,
ოს“ ძაბილია, მაგრამ ამის გამო, ცალკე-
ბის სირთულისა და სიძნელის გამო სიც-
ოცხლებზე უს არ ვამბობთ! და ამ მშე-
ნიერი სიმღერის ავტორი გვისურვებს,
დიდან ვინც ვიცით და დიდან ვიცით ამ „ოხ, ოხ, ოს“ თანხ-
ლებით: „ოხ-ოხ-ოა, მრავალშამიერ!

რაც ვთქვი, იმას წყალი არ გაუვა – იგი,
ეს აზრი – შევამოწმე მუსიკალური ფოლკ-
ლორის უდიდეს ავტორიტეტთან, პი-
რადად ჩემს უსაყვარლეს მოღვაწესთან
ანზორ ერქომამიშვილთან!

დუღი

ველინგტონმა — ბრიტანეთის პრე-
მიერმა, უინჩელსი დუღელში გამოიწვია.
ნესის მიხედვით, პირველი სროლის უფლე-
ბა უინჩელსს ჰქონდა. ისიც ადგა და ჰაერ-
ში გაისროლა.

ველინგტონმა, ცხადია, შეეძლო უინჩე-
ლის მოკვლა.

აი, აქ ირკვევა, რა მორალისა ხარ შენ!

ველინგტონმა გამარჯობა შენიო — მიესალ-
მა!

ველინგტონმა ადგილას რომ ყოფილ-
იყო, ვთქვათ, დოიაში ესროდი, ესროდ თუ არა
ბრეგაძეს? რა თქმა უნდა, ესროდა!
ბრეგაძე მაინც გადარჩებოდა, რადგან
დოიაში მოვისა პიცორები ერთი რაა, ერთხელ
არ მოურტყამას მიზანში! და ა
მაინც, იცის თუ არა ეს ბრეგაძე?

არ ვიცი! ვერ გეტყვით! კითხეთ მას!

ენადა ბერიას ადგომა,
მაგრამ ველარა დეგებოდა!



ჯემალ ინჯია

5

ატუზული ვარ, როგორც მწირი, აღსავლის კართან
და როცა მომდის ჩემს აწეულ წნევაზე ბრაზი,
„გუბის წურბელებს ვამპირებმა დაუგდეს ფასი“, —
მაშინ მოისმის ჭაობიდან ყიყინი მყვართა.

რა დროს წნევაა, როცა ჩემი ოცნების ქალთან
მისატანი მაქვს დაკარგული გრაალის თასი.
„ძებნე, ჰოეტო, იძოვე და უშველის მას ის, —
ჩამძახის ზენა, — ნუ ანახვებ ღოლნდაც აკ თვალს!“

ნუ დააობებ შალითაში სიტყვას, ალესილს,
ქარქში, ხომ თქვი სხვაზე ადრე, სტულდა მახვილსო!
მე ჩემს სიყვარულს გამოვხატავ მთვარის ალერსით,

თუნდაც ამისთვის მინოდებდეს ბრიყვი ხალხი სნობს.
მე რა მდუღარით ვიმდუღრები, მას ხომ არ ესმის.
ექიმი ბრძანებს — დღეს არა გაქვს ნება ნახვისო.

6
ექიმი ბრძანებს — დღეს არა გაქვს ნება ნახვისო.
შემოვიჭრები ძალით, მაგრამ ვიცი, „ვაშინერს“.
რა თავში ვიხლი უშენონ გორს (ჩემს თავს ვაშინებ),
გორს — უგორიჯვორს, უციხეოს, უდანახვისო.

რა სიხარულით მოველოდი მუდამ აგვისტოს,
დღესასანულის შურჩრდილებს და უჩინმაჩინებს.
მარიამებო, შეილიშვილი ხომ გამაჩინება!..
მარიამბაგ, ჩემს წუხილზე უწდა დაგისწრო.

კატაპალახას მაგიური წამლის სურნელით
გაყლენთილია მოსაცდელი, კაბე... აქ, ვინდო,
გამოჩენდეს მისი განქარგება — ქრობის მსურველი,

თორებ ვატყობ, რომ მიღონდებით, გულო და ლვიძლო.
ჭუუთ იყავო, მაფრთხილებრ შენი მზრუნველი,
მე კი ვიფიცებ, რომ სნეული არ გავაღვიძო.

7
მე კი ვიფიცებ, რომ სნეული არ გავაღვიძო.
მისი სიზმრების ყარაულად ვიდგები აქ მე.
სხვა, უფრო მეტად საპატიო, არ ვიცი საქმე
კაცისათვის, ვინც კაცია და არა ბალლინჯო.

არ მინდა, ჩემი სული ისე დავამახინვა,
რომ შევუშინდე ჩემს ჭიშკართან დაჩიქილ აქლებს.
ამ ძალუმადურ ყოფაში რა ჯანდაბად ვაქნევ
ჩვენზე დარხეულ მახვილსა თუ არამახვილ ჭორს.

კაცს არ გაცლიან დაშვიდებით სულის ამოსვლას,
გზადაგზა ცლიან იმ ჭორებით გატენილ ხალთას,
რაც ბალერინას მეხრედ აქცევს, მეფეს — სალოსად.

უნდა მოვთოკო თავი, რადგან გოგმანა ქალთა
წინაშე დავდე პირობა, რომ სნეულ სალოცავს
არ დავუტვიფრო უტიფარი ამბორით კალთა.

8
არ დავუტვიფრო უტიფარი ამბორით კალთა,
ვისაც კარს იქთ სუნთქვა უჭირს. ღმერთი, უშველე!
მედიკოსები მაცოცხლებელ სხივებს უშვერებ,
ასე შაბაზუნა წვიმა შევლას გვალვაში თავთავს.

მე წარმოსახვით, ჩემთვის ეგზომ მახლობელ თავთან,
კარაგს დავცებ და ფიქრის გორას შემოვუშენებ.
მაცილს და მზაკვარს მანდ მიტომ არ შემოუშვებენ,
რომ არ მოეწყოს შენს საწოლთან მეჯლისი აგთა.

რას არ ვიგონებ შენი სულის ხსნის მოლოდინში,
ქვეცნობირი მკარნახობს თუ ტრანსი ბოდიალს.
უნდა ქომაგებს მოვუხადო დიდი ბოდიში —

პოეტი ზოგჯერ ჭუუთმყოფლის ანტიპოდია.
თვალს და ხელს შუა დრო მეცლება მიდი-მოდიში.
თეთრი ჩაჩები ფეხაკრეფით მიდი-მოდიან.

9

თეთრი ჩაჩები ფეხაკრეფით მიდი-მოდიან.
სხვა პალატაში ვიღაც ყვირის. შენი კი არა,
ვგრძნობ, რომ ამტკივდა იმ საბრალო ცაცის იარა,
სხვისი ჭრილობა — შენს სხეულზე — დიდი ლოდია.

კაცს გადაგყარა, ჩემო კარგო, ღმერთმა ცოდვიანს,
ვინც შენთან ერთად ბერვის ხიდზე ბევრი იარა,
ბევრი იარა, მაგრამ შენ კი ვერ მოგიარა.
მეგონა... თურმე განძის მოვლა არა მცოდნია.

...ვარდისფერს რომ ვერ შევეცდინე სათვალეს მაშინ,
არ მოგაცემდი აპასთუმანს, საირმეს, ნალვერს,
გზას დაგიქინდი აჭარის და სვანეთის მთაში,

ვერ შეგიკრავდა სუნთქვას ბარის ჭანჭრობი მძალე.
ეჳ, მონყალების დებმა ლამის დამტყუონ ტაში,
ისე უვლიან გვერდს ჯიუტი მნახველის ნალველს.

10

ისე უვლიან გვერდს ჯიუტი მნახველის ნალველს,
რომ ცდა — სახეზე შეამჩინი „დასაც“ ნალველი —
იგივე არის — დაგენუროს მთა სანნახელით...
სამაგიეროდ ყურადღებით გისინჯავს ნახველს.

გაქათქათებულ მის მოხდენილ ხალათზე ვნახე
ამოქარგული დევლექართული „მზია“ — სახელი,
სითბოს, სიცოცხლის, სიყვარულის გამომსახველი,
მე ჩავინიშნე, მივაპარე ქალალდის ნახევს.

ცრემლი მერევა, მშვენიერო, როდესაც ვასკვნი:
შენ გიყვარს კაცი, ვინც მზერალი და თან ლოთია
და რამდენადაც ძმებად უჩანს ხეთნი და ბასენი,
მდიდარი იგი დაკარგული სამშობლოთა.

შენ ავად მყავებარ. წვენი გარგებს, მოგეხარშავ ასკილს.
ეს ყოველივე ცხადად ხდება, ძილში როდია.

11

ეს ყოველივე ცხადად ხდება, ძილში როდია,
მაგრამ ეს ჩემთვის სინამდვილეს ისე შეჭვერის,
როგორც მონაფემ მოიტაცოს მასაწავლებელი,
რომელიც ერის სულისათვის ოქროს ზოდია.

ქსენონთან ბოლთის ცემა ერთი ეპიზოდია
იმ რომანისა, ახლა რომ წერს კაცი ბებერი,
ვისაც უნდა, რომ ჰყავდეს ლისტი — გამცილებელი —
მის პანაშეიდზე შეუკეთეთ ლისტს რაფსოდია.

თუმცა სიკედილის ფუფუნება მეტისმეტია
ახლა, როდესაც შენს სიცოცხლეს სალმობა არღევეს.
რა მეკედინება ამ დღისით და მზისით მე ტიალს,

როცა წვეთ სისხლსაც კი ვერ ვაწვდი საყვარელ ძარღვებს.
დაღმატდა უკვე და ჩემს სულშიც კუნაპეტია,
მოულოდნები მწუხარება მტკვარსავით მამღვრევს.

12

მოულოდნელი მწუხარება მტკვარსავით მამღვრევს,
ვერ დაგანამლე სისხლი რეზუს უარყოფითი.
შენს არსებობას ამ სიცოცხლით თუ არ ვყოფნიდი,
მივბარებოდი: სერგიეთს, გორს, ხვედურეთს ან ღვლევს.

ვეფარიკავე, რაც შემეძლო, ცხოვრებას დამღლელს,
სასხლი გამიშვილი და მის ნაცვლად ახლა იფლი მდის.
ასეთ ყოფაში ჩემს ვენახონ ქედნად მოფრინდი,
როცა ვაცლიდი ალადასტურს წამოზრდილ ნამხრევს.

ბინაში სტუმრად მიმიღია ბევრი მომსვლელი,
ასეთ საკვირველ არმალანს კი არ ველოდი აქ.
შენ გამო ახლა ცრემლებს ვებრძვი, თან იმ დღოს ველი,

მადლობის ნიშნად რომ აკოცებ ექიმ ნოდიას.
დღეს კი სჭირდება კრიმანჭულის კარგი მომსმენი
ჩემს თავსდატეხილ სიმწარეზე ქმნილ მელოდიას.

13
ჩემს თავსდატეხილ სიმწარეზე ქმნილ მელოდიას
ამანათსავით შემოვგზავნი შენს პალატაში —
როგორც ნოეს მტრედს, როგორც მსტოვარს,
როგორც ატაშეს
და დარწმუნდები — ეს კი არ არის „დილა-ოდილა“.

თუ სიყვარულით შენი გული არ დაკოდილა,
ნუ გაოცდები, თუ ამ გულმა გილალატა შენ.
კაცი, გაქნილი საბოზეთში, მიხვალ ათასჯერ
იმ აზრამდე, რომ დაემსგასე ქოსმენ-კოდილას.

ეს კი ეხება, რა თქმა უნდა, ავტორს პირადად —
ცოტნების ბალში ზომისა და გონების ნამყენს.
